


# ვაშნარის ნაქალაქარზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება გრძელდება



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გურიანთაში, ვაშნარის ნაქალაქარზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება გრძელდება . სამუშაოები ადგილზე გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ მოადგილესთან ზაზა შოშიტაიშვილთან ერთად მოინახულა.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ვაშნარის ნაქალაქარზე დაიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიების ახალი ეტაპი. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია აქ არსებული მარტირიუმისა და სამნავიანი ბაზილიკის გაწმენდით სამუშაოებზე. არქეოლოგებთან ერთად პროცესში ჩართულები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. ვაშნარის ნაქალაქარი და აქ აღმოჩენილი არტეფაქტები თავისი ისტორიული მნიშვნელობით ძალიან დიდია. ჩვენი მიზანია, რომ ვაშნარი გავხადოთ ტურისტული მიზიდულობის ცენტრი, რომლითაც დაინტერესდებიან როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელი ვიზიტორები. ამ პროცესის მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და კულტურული მემკ - ვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“,– განაცხადა **გიორგი ურუშაძემ.**


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 23 (10435) 9 სექტემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.


# სოფელ დვაბზუში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს



**ალიონი.** ქ. ოზურგეთიდან 5 კილომეტრში მდებარეობს ისტორიული სოფელი დვაბზუ, რომლის ცენტრშიც იდგა V-VI საუკუნეებში აგებული წმინდა გიორგის ეკლესია. დვაბზუ წარმოადგენდა გურიაში ვაჭრობის ერთადერთ ადგილს, ვიდრე მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მას ოზურგეთში არ გადაიტანდნენ. სოფლის ცენტრში დგას 1874 წელს აგებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.1908 წელს დვაბზუს საზოგადოების ხუთი სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 3917 ადამიანს

ამჟამად დვაბზუს თემში შედის სოფლები: დვაბზუ, გაღმა დვაბზუ და ნასაკირალის დასახლება. სოფელში არის 2 სკოლა, 3 საბავშვო ბაღი, საექიმო ამბულატორია, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, არის რამდენიმე გადამამუშავებელი საწარმო.

ამჯერად სოფელ დვაბზუში ჩვენი მისვლის მიზანი სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა გახლდათ.

ჩვენი იქ მისვლისას შპს „გზამშენი“ (უფროსი თეიმურაზ ჯახვა, სამუშაოთა მწარმოებელი ბესო ჩხაიძე), ღლონტების უბანში ასფალტს აგებდნენ. გზის სამუშაოების მოსანახულებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, მოადგილე ნიკა ბოლქვაძე და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბექა თოიძე მივიდნენ. ძალიან ცხელოდა, თუ ამას დავამატებთ ასფალტის სიმხურვალეს, საკმაოდ რთულ პირობებში უწევდათ მეგზევეებს მუშაობა. როგორც სამუშაოთა მწარმოებელმა ბესო ჩხაიძემ გვითხრა, ასფალტის დაგების უწყვეტი ციკლი მიმდინარეობს,მთავარია იგი ხარისხიანად შესრულდეს.

ქუჩაზე მიმავალ ქალბატონს

გვ–3

# ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე მორიგი დაპირისპირება მოხდა

**ალიონი.** ერთმანეთის უპატივცემულობა, ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა – ესეთი გახლდათ 7 აგვისტოს გამართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრობა“ რომ საგულდაგულოდ ემზადება საკრებულოს სხდომისთვის, ეს გასაგებია და სხდომაზე დამსწრე მედიასაშუალებების უმრავლესობაც წინასწარაა ინფორმირებული მოსალოდნელი სკანდალის შესახებ, რადგან მწვავე თემებს უფრო მეტი მაყურებელი თუ მკითხველი ჰყავს, მაგრამ მმართველი პარტიის ზოგიერთი წევრის დამოკიდებულება მოსალოდნელი კონფლიქტის მიმართ გაუგებარია.

საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იყო განსახილველი.

პირველმა საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის შესახებ მშვიდად ჩაიარა და დეპუტატების უმრავლესობამ ხმა მისცა პროექტს.

მეორე საკითხის განხილვას, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელებას ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა



მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ** წარმოადგინა, კამათი მოჰყვა.

თანადაფინანსების საკითხი დადებითად შეაფასა ოზურგეთის დემოკრატიული ცენტრის ხელმძღვანელმა **ლევან ხინთიბიძემ.** მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების შექმნას შშმ პირებისათვის, ყოფილი მსჯავრდებულებისთის და ზოგადად საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

– *ჩვენ ამ თემაზე რამდენიმე შეხვედრა გვქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მათ დაგვიჭირეს მხარი და ამჟამად მათი ნებაა დაიწყოს თუ არა ეს პროექტი* –აღნიშნა ხინთიბიძემ.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **თათია ნიკოლაიშვილმა** სხდომაზე ფოტო წარმოადგინაა, რომელზეც ბახველი ლ. თ-ს ავარიული საცხოვრებელი სახლი იყო აღბეჭდილი და ამ ადამიანის მძიმე მდგომარეობას გაუსვა ხაზი.

მან ასევე აღნიშნა, რომ ქვედა ბახვში 3 ოჯახს სახლთან არ აქვს მისასვლელი და ღელეზე ხის ფიცრებია გადებული, ხოლო აგვისტოში სოფელში არ ჰქონდათ წყალი.

– *ლ. თ-ს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ჰქონდა შესაბამისი თავშესაფარი. იგი სხვადასხვა ადგილებზე მუშაობს. ქვედა ბახვში მილხიდს ცვლიან და ამაზე ტენდერია გამოცხადებული, ხოლო ვაკიჯვარი-ბახვი-მშვიდობაურის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. სამწუხაროდ, გადაჭრეს ვაკიჯვრიდან ბახვისაკენ მომავალი წყლის მილი, რამაც შეაფერხა წყლის მიწოდება. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე* – უპასუხა გიორგი ღურჯუმელიძემ.

თათია ნიკოლაიშვილი

გვ–2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# შეხვედრა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე



გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსთან **ლელა ჯანაშვილთან** და სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, რომელსაც რწმუნებულის მოადგილეები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები და ადმინისტრაციების თანამშრომლები დაესწრნენ.

*„პერსონალური მონაცემების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორისთვის. გაიმართა საკმაოდ საინტერესო შეხვედრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი შეეხო სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ძირითად მიზნებს და გეგმებს. შევთანხმდით სამომავლო ურთიერთ-თანამშრომლობაზე,"*–განაცხადა გიორგი ურუშაძემ.

# ტურიზმის განვითარება– ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოფელ შუა ამაღლებაში დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

უდაბნოს მონასტერთან მისასვლელ გზაზე ჩატარდა გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, დაიგო ბეტონის საფარი, მოეწყო საპიკნიკე და საპარკინგე ზონები.

*„ტურიზმის განვითარება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და მიხარია, რომ ამ მხრივ ჩვენს რეგიონში არაერთი ახალი პროექტი ხორციელდება.“*-განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ.

პროექტის ღირებულება 1 067 419 ლარია და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

პროექტი განახორციელა შპს „ახალმშენმა“.

# გურიაში გაზიფიცირების მასშტაბური სამუშაოები იწყება

მოქალაქეებისთვის მიცემული კიდევ ერთი დაპირება სრულდება!

გურიაში მასშტაბური სამუშაოები იწყება, რომლის ფარგლებში 29 სოფლის გაზიფიცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოეწყობა!

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ გაზიფიცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის ტენდერი გამოაცხადა: **ლანჩხუთის** მუნიციპალიტეტის სოფლებში: **ჯიხანჯირი, შრომისუბანი, ჩოჩხათი, მოედანი, ხორეთი, კოკათი, ნინოშვილი, ყელა, ხაჯალია, ნიგვზიანი, არჩეული, ჩანჩეთი, ჯურუყვეთი, ეწერი, ბაღლეფი, გულიანი; ოზურგეთის** მუნიციპალიტეტის სოფლებში: **გოგიეთი, ჯუმათი, ძირიჯუმათი, ბოგილი, იანეთი, დვაბზუს ნასაკირალი, მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა;** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: **ჩომეთი, კალაგონი, მამულარი.**

# ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე მორიგი დაპირისპირება მოხდა



ეკონო-მიკური ზრდის თემას შეეხო და დარბაზში მყოფთ მიმართა, რომ ხალხში გაიარონ, შეხედონ როგორ შიმშილობენ ადამიანები და კონკრეტული ფაქტები დაასახელა, თუ როგორ გაძვირდა კვების პროდუქტები.

*–შარშან, არჩევნების ფონზე, კილოგრამი თხილი 5-6 ლარი ღირდა, დღეს კი 2,5-3 ლარი ღირს, ადამიანებს შემოსავლები არ აქვთ –აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.*

*– რაც შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას ყველაფერს აკეთებს. 61 მილიონ ლარზე მეტადაა გაზრდილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და 36 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები რომ ხორციელდება ეს ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და პროექტებში ადგილობრივი მუშახელი დსაქმდება – უპასუხა გიორგი ღურჯუმელიძემ.*

*ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის **თორნიკე გოგუაძის** კითხვა, ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღის“ წინ მოედნის დემონტაჟს ეხებოდა, ხოლო **ბესო ქათამაძემ** აღნიშნა, რომ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება და მართლაც უპრეცედენტოდ, ბიუჯეტი 61 მილიონამდეა გაზრდილი, მაგრამ რატომ ხარჯავს ბიუჯეტი 300 ათას ლარს გზებზე დასაყენებლად 20 კამერის შეძენისა და 80 ათასს მის მონტაჟში? ა*

*– ვიდეოთვალის კამერები საავტომობილო გზებზე ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვისათვის იდგმება და მომავალში მას სკვერებსა და პარკებშიც დავდგამთ. რაც შეეხება თეატრალურ მოედანს, მისი სრული განახლება ხდება და ერთიანი მოედანი იქნება –უპასუხა გიორგი ღურჯუმელიძემ.*

*ლაითური-ნარუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა **რაინდი დუმბაძემ** თქვა, რომ დაბა ლაითურში მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად 5 მილიონი ლარი დაიხარჯა, თუმცა იმის გამო, რომ არ მომხდარა გამრიცხველიანება და არაა დადგენილი წყლის ტარიფი, მოსახლეობა არამიზნობრივად ხარჯავს წყალს და ქსელი ვერ უზრუნველყოფს დაბის მთლიან დაკმაყოფილებას.*

*გიორგი ღურჯუმელიძემ რაინდი დუმბაძეს განუმარტა, რომ ტარიფების განსაზღვრა არაა თვითმმართველობის პრეროგატივა და იგი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა გადაწყვიტოს. ამ თემაზე კომისია მუშაობს.*

საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განხილვისას მდგომარეობა დაიძაბა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** შეურაცმყოფელი სიტყვებით მიმართა ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს:

–2020 წლის 3 აგვისტოს, წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს იუსტიციის იმჟამინდელი მინისტრი თეა წულუკიანი იმყოფებოდა გომისმთაზე და ხმების მიღების სანაცვლოდ განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფასოდ დაიწყებდა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის პროექტს და შემდეგ დაიწყებოდა ამ მიწების დარეგისტრირების პროცესი... თქვენ ხართ ის ადამიანები, ვინც გომისმთა მოსპეთ, მიწები მიითვისეთ და და ახლა ორი წლის შემდეგ საუბრობთ დაგეგმარებაზე, როცა კურორტი გაანადგურეთ. 24 ადამიანი კი მიეცით პროკურატურას, რომ დასაჯონ? –გაჰყვიროდა მჟავანაძე.

ამას საპასუხო რეაქცია, გაწევ-გამოწევა, ნივთების სროლა და დედის გინება მოჰყვა.

სხდომა 30 წუთით შეწყდა....



# სოფელ დვაბზუში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს



**ეთერ ლლონტს** გავესაუბრეთ:

– *40 წლის წინ იყო ამ ქუჩაზე ასფალტი. ნამდვილად სასიხარულოა, რომ ავთანდილ თალაკვაძის და მისი გუნდის მონდომებით სოფელში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. უხარია მოსახლეობას, პლუსს წყალგაყვანილობაც კეთდება. დიდი მადლობა ყველას ამ პროექტისთვის* –გვითხრა ეთერ ლლონტმა.

**თემურ ჯახვა:** – *1280 მეტრი სიგრძის გზაზე იგება ასფალტი. ვფიქრობთ, დვაბზუელები კმაყოფილნი დარჩებიან ახალი გზის ხარისხით. ყველა საჭირო სამუშაოები ჩატარდა. გზის ორთავე მხარეს მოეწყო ბეტონის სანიაღვრე არხები. თითოეული მოსახლის ეზოს შესასვლელთან დავაგებთ ასფალტს*

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს **გიორგი ღურჯუმელიძეს** გავესაუბრეთ:

– *ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება სოფელ დვაბზუში. მიმდინარეობს 1300 მეტრამდე სიგრძის გზის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 600 000 ლარს შეადგენს და იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.*

*გარდა გზის რეაბილიტაციისა, აქ წლების განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წყლით მომარაგება წარმოადგენდა. მიმდინარეობს 100 კმ. სიგრძის შიდა ქსელის მშენებლობა. სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და დვაბზუს მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს. აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. ცხემლისხიდი-დვაბზუს წყალმომარაგების პროექტში არ იყო გათვალისწინებული გალმა დვაბზუ. ოზურგეთის მერის მონდომებით პროექტში ცვლილება შევიდა და წყლის ქსელი გალმა დვაბზუშიც გაკეთდება. ეს ბუნებრივია ცოტათი გადაწევს სამუშაოების დასრულების დროს, მაგრამ პროექტის დასრულების შემდეგ დვაბზუელები 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებენ* – გვითხრა გიორგი ღურჯუმელიძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ დვაბზუში **ლაშა გოგოტიშვილი** კომუნიკაბელური პიროვნებაა. მისი ბაბუა თამაზ გობრონიძე ცნობილი სამეურნეო მუშაკი გახლდათ, იყო სოფელ დვაბზუს და ბახვის კოლმეურნეობების თავმჯდომარე. ასევე ცნობილი მომღერალი იყო მეორე ბაბუა მიხეილ გოგოტიშვილი, ანსამბლ „დილას" წევრი. თავად ლაშა 6 წელი ანსამბლ „ერისიონში" მღეროდა, მაგრამ სოფლის სიყვარულმა დაძლია და დედაქალაქიდან დვაბზუში დაბრუნდა. კარგი მოკრიმანჭულეა, მაგრამ სოფლის გაძღოლის არანაკლები ნიჭი გამოავლინა. სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე აქტიურობს სოციალურ ქსელშიც.

– *მიყვარს ჩემი სოფელი. ვცდილობ მაქსიმალური ენერგია ჩავდო სოფლის წარმატებებისთვის. მთავარია, რომ მხარში მიდგას მუნიციპალიტეტი, თანასოფლელები. ძალიან მიხარია თითოეული პროექტი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სასიხარული იყო, რომ წყლის მაგისტრალურ დაქსელვით სამუშაოებში სოფელი გალმა დვაბზუც შეიტანეს. ნასაკირალის დასახლებაში უკვე დასრულდა ჭაბურღილების დაზვერვითი სამუშაოები და წყალი ჩვენს თემში შემომავალ ნასაკირალის მოსახლეობასაც ექნება. წელსვე ნასაკირალის დასახლებაში მოხდება გაზიფიცირების სამუშაოები.სოფელ გალმა დვაბზუდან ნასაკირალის პირველ რაიონთან დამაკავშირებელი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციისათვის მალე დასრულდება ტენდერი და გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება. ამ პროექტის სავარაუდო ღირებულება 700 ათასი ლარია.არის სხვა პროექტებიც.*

*ახლახან გაიხსნა სოფელში გურული სუნებელსაწებლების გადამამუშავებელი საწარმო. სოფელ დვაბზუში მეწარმე თენგიზ გოგუაძე* **USAID**-*ის მიერ სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში 80 000 აშშ დოლარით დაფინანსდა. ეს საწარმო ორი სახეობის –წითელი და მწვანე გურული სუნელებს აწარმოებს. დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა.*

*მადლობა ბატონ ავთანდილ თალაკვაძეს, რომელიც გვერდში უდგას ჩვენს სოფელს.*

*სოფელ დვაბზუში წელს მიწის სისტემური უფასო რეგისტრაცია მიმდინარეობს.*

*მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა პროცედურას - საკადასტრო აგეგმვა, აზომვითი ნახაზების მომზადება, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და ნაკვეთების დარეგისტრირებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფასოდ ახორციელებს* – გვითხრა ლაშა გოგოტიშვილმა.

გაზეთი „ალიონი" დვაბზუ-ბახვის მაჟორიტარ დეპუტატს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილს** ესაუბრა:

*–მივესალმები გაზეთ „ალიონის" მკითხველს. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი წარმოვადგენ სოფელ დვაბზუს და ბახვის სამაჟორიტარო ოლქს ოზურგეთის საკრებულოში. სასიხარულოა, როცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უპრეცედენტო ნიშნულს მიუახლოვდა. ჩვენი გუნდის დაპირებები ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება. მერს წარმოდგენილი ჰქონდა რვა პუნქტიანი გეგმა, რომელიც სრულდება.*

*მისასალმებელია ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური უბნების განახლება, სხვადასხვა სპორტული და სარეკრეაციო სივრცეების შექმნა.*

*სოფელ დვაბზუსა და ბახვში ძალიან საჭირო პროექტები ხორციელდება, რაც წინა თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებიდან მიზანმიმართულად იყო შეჩერებული.*

*სოფელ დვაბზუში ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყლის სისტემის მოწყობა, რის შემდეგაც დვაბზუს და გალმა დვაბზუს მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგება ექნება. მიმდინარეობს ორი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. ასევე, ორ შიდა სასოფლო გზაზე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი.ეს ეხება გალმა დვაბზუს ცენტრიდან, ნასაკირალის პირველ რაიონთან დამაკავშირებელ გზას, რომელიც წლებია მწვავე პრობლემად დგას სოფელში. დვაბზუს ნასაკირალში მიმდინარეობს გარე განათების ქსელის მოწყობა და იწყება შეჩერებული წყლის პროექტის სამუშაოების გაგრძელება. დვაბზუს და გალმა დვაბზუში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში იგეგმება სკვერის მოწყობა. მინდა მადლობა გადავუხადო მერის წარმომადგენელს სოფელ დვაბზუში ლაშა გოგოტიშვილს, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად არის ჩართული ყველა მიმდინარე სამუშაოს განხორციელების პროცესში.*

*სოფელი ბახვის ადმინისტრაციულ ერთეულში მწვავე პრობლემად იდგა წყალმომარაგება.ამ ეტაპზე პროექტი განხორციელდა და წყალი მოსახლეობას სატესტო რეჟიმში მიეწოდება. პროექტის ჩაბარების შემდეგ მოხდება გამრიცხველიანება, რაც შეამცირებს უხვი წყლის ხარჯვას და წყლის დებეტის პრობლემა აღარ იქნება. უკვე პროექტი მომზადებულია და იგეგმება ბახვი - ფამფალეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ქვედა ბახვის თემში ვახდენთ გარე განათების დარჩენილი ქსელების დასრულებას. მშვიდობაურის თემში უკვე გამოცხადდა ტენდერი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. მალე მშვიდობაურს განახლებული სკოლა ექნება. მშვიდობაურში უკვე იწყება წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები,რის შემდეგაც სოფელს უწყვეტი წყალმომარაგება ექნება.*

*პრობლემა სოფლებში ძალიან ბევრია, ვცდილობთ,მაქსიმალურად მოვაგვაროთ პრობლემები და ვიყოთ მოსახლეობის გვერდით ჩვენთვის, თითოეული მოქალაქის ინტერესი არის ძალიან მნიშვნელოვანი* –გვითხრა მარიკა ჩხიკვიშვილმა.




# ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა

ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა

2022 წლის 7სექტემბერს,ბახვი ჰესის მენეჯმენტის დაკომპანიის ჰიდროენერგეტიკული პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მორიგი,შეხვედრა გაიმართა. ბახვი ჰესის გენერალურმა დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა მრჩეველთა საბჭოს გააცნო ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გზშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესი, ასევე წარადგინა მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრი, ალა მარი, რომელიც ჩხაკაურას საჯარო სკოლის დირექტორია.

შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა მრჩეველთა საბჭოს წევრებს გააცნეს კომპანიის მიერ მართული პროექტების განვითარების ფაზებიდა სამომავლო გეგმები.ბახვი ჰესის გენერალურმა დირექტორმა სპეციალურად საბჭოს წევრებისთვის მოდერაცია გაუწია ინტერაქციულ განხილვას, რომლის ფარგლებშიც მიმოიხილეს ენერგეტიკის სექტორში არსებული მითები,თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს დეზინფორმაცია და მითები ქართული ენერგეტიკის სფეროს განვითარებაზე.

*„საკმაოდ საინტერესო განხილვა გამოგვივიდა მრჩეველთა საბჭოს წევრების მონაწილეობით. ჩვენთვის, როგორც დეველოპერებისათვის, ფრიად სასარგებლო იყო მოსმენა, თუ რა მითები არსებობს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მითების საპირწონედ რა რეალობა გვაქვს. ბევრი ჩვენთვის დამაფიქრებელი აქცენტი გაკეთდა. ცხადია და არახალია, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან. აქვე აღვნიშნავ, რომ საინტერესო პროცესია, რომლის დროსაც ორივე მხარე იღებს ახალ ინფორმაციას და იზრდება.ამ გადასახედიდან, ჩვენ ბევრი მითი მოვიტოვეთ უკან, კონკრეტულად გურიის მაგალითზე."* – განაცხადა, ბახვი ჰესის დირექტორმა, **გიორგი აბრამიშვილმა.**

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა **ლელა მდინარაძე,** რომელიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია საბჭოში. მანსაბჭოს წევრებს გაუზიარა ის დადებითი შეფასებები, რომელიც ბახმაროს ლედ განათების პროექტის შესახებ გაკეთდა ბახმაროსა თუ ჩოხატაურის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა იხილეს ვიდეო, სადაც ნაჩვენები იყო ბახმაროს ლედ განათების პროექტის ვიდეო მიმოხილვა.

საბჭოს შეხვედრები ბახვი ჰესის ინიციატივით იმართება და ემსახურება ერთის მხრივ საბჭოს წევრებისთვის პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად მიწოდებას, მეორეს მხრივ კი მათგან საინტერესო მოსაზრებების და რეკომენდაციებსი მოსმენას. შეხვედრა ოზურგეთში, ბახვი ჰესის ოფისში გაიმართა.



შეგახსენებთ, ბახვი ჰესის გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათათბირო ორგანოა, რომლის მიზანიცაა, დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მეტი გამჭვირვალობა. საბჭო ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

**დაფინანსებული ფართი.**

# ჯვარიმინდორი –აჭარა-გურიის ისტორიული მეგობრობის სიმბოლო



ჯვარიმინდორი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისის მოსახლეობის საზაფხულო იალაღებია, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე, თაგინაურის მთის ძირში მდებარეობს. ჯვარიმინდორზე გადის ყველაზე გრძელი ქსელური ტურისტული მარშრუტი კინტრიში-გომისმთა-ცხემლისი-ხაბელაშვილები და ასევე წარმოადგენს გზაგასაყარს, სადაც კინტრიშის დაცული ტერიტორია, შუახევის მუნიციპალიტეტი და გურიის რეგიონი ერთმანეთს უკავშირდება.



ადგილობრივებმა ამ ტერიტორიას ჯვარიმინდორი უწოდეს იმ ჯვრის საპატივცემულოდ, რომელიც მე-18 საუკუნის 50 -იან წლებში აჭარელმა ღვთისმსახურებმა გადამალეს და იხსნეს.

1740 წლისთვის ჭვანას ხეობაში 15 მართლმადიდებლური ტაძარი იდგა. 20 წლის მანძილზე თურქებმა ყველა ტაძარი დაშალეს და დაწვეს, არც ვერჯანაულზე არსებული ქათამაძეების ტაძარი დაინდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინამძღვარი ზაქარია ქათამაძე დახმარებისთვის ახალციხის ფაშას ეახლა. ფაშამ არ შეისმინა მღვდლის თხოვნა. ჭვანაში დაბრუნებულ ღვთისმსახურს ტაძარი დანგრეული და განადგურებული დახვდა. გაუტეხელ ჭვანელებს ეკლესიის ჯვარი, ხატები, ზარი, სხვა სიწმინდეები გადაემალათ. მათ ამ სიწმინდეების გადასარჩენად გურიისაკენ აიღეს გეზი.

ნაწამებ მღვდელს და მრევლს ამ ტერიტორიაზე დაბრძანებული ჯვარისა და სხვა სიწმინდეებისათვის მაშინ მიუმერთავთ: „ჯვარო მიდიხარ, ჯვარო დაგვიბრუნდები!“ სიწმინდეები მათ შემოქმედის ეპარქიის ტაძრებში დააბრძანეს.

ოსმალები საუკუნეების განმავლობაში დევნიდნენ და აწამებდნენ ქრისტიანებს არა მარტო ჭვანის ხეობიდან...

თითქმის სამ საუკუნოვანი შენახვის შემდეგ, 2012 წლის მარიამობაზე ჯვარი სოფელ ჭალაში მშენებარე ტაძარში გადააბრძანეს. შემოქმედის ეკლესიის მღვდელმთავარმა, მეუფე იოსებმა ჯვრის ასლს პარაკლისი გადაუხადა, რიტუალის მონაწილეებმა შემოქმედის ეკლესიაში მოილოცეს და ჯვრის ასლით გზას გაუდგნენ. ასე აღდგა ისტორიული სამართლიანობა. ამ დიდებული საქმის ორგანიზატორი ჭვანელი სანდრო შარაშიძე გახლდათ.

ამას გარდა, ამ მთის მწვერვალზე, ჯვარი ბუნებრივად არის ქვაზე გამოსახული. სიმბოლურად. სწორედ ამ ადგილას, 2012 წლიდან, ყოველ 28 აგვისტოს, ღვთისმშობელი მარიამის მიძინების დღეს, შუახევის მუნიციპალიტეტის და საზოგადოება „ჭვანელების“ მხარდაჭერით ეწყობა სახალხო დღესასწაული „ჯვარიმინდორობა“. ფესტივალზე იმართება ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების შოუ, წარმოდგენილია ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ეწყობა შეჯი-ბრებები და ლაშქრობები. ფესტივალის მიზანი ადგილობრივი კულტურის, ფოლკლორის და სამთო ტურიზმის პოპულარიზაციაა.

ტრადიციულად, „ჯვარიმინდორობის“ დღესასწაულებში ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლი „იადონი“ მონაწილეობს.

წელს, ფესტივალს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, შუახევის მერი, ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე, როსტომ ლორთქიფანიძე, მთავრობის წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯვარიმინდორზე ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ზონა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით მოეწყო. იგი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გახსნა. მოსასვენებელი სივრცეები აჭარაში ყველაზე გრძელ ქობულეთი-შუახევის დამაკავშირებელ, სალაშქრო-სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტზე მდებარეობს.

გაიმართა სპორტული შეჯიბრები ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, კოლტაშის სროლა.

მხატვრულ თვითმოქმედების კონცერტში მონაწილეობდნენ: ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „იადონი,“ შუახევის ფოლკლორული ანსამბლი „ჭვანა,“ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზე-კართან“, ახალგაზრდული ბენდი; ქედის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცხმორისი“.

წელს, „ჯვარიმინდორობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ოფროუდში საერთაშორისო შეჯიბრი იყო, რომელიც მაღალი გამავლობის ჯიპებით გაიმართა როგორც სტანდარტულ, ასევე მომზადებულ და პროფესიონალურ კატეგორიებში. შეჯიბრში საქართველოს, თურქეთის და სომხეთის პროფესიონალი მრბოლელები მონაწილეობდნენ. მონაწილეთა შორის იყო გურიის ოფროუდის კლუბი (ემზარ ანთაძე). გურულებმა ოფროუდის ერთ-ერთ სახეობაში მესამე ადგილი აიღეს.

გაზეთ „ალიონთან“ კომენტარები გააკეთეს ფესტივალის მონაწილეებმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძემ** გაზეთ „ალიონთან“ თავისი პატივისცემა გამოხატა გურიის რეგიონის მიმართ, აღნიშნა, რომ „ჯვარიმინდორობა“ არის ერთ-ერთი გამორჩეული დღესასასწაული და მოგვილოცა მარიამობის წმინდა დღესასწაული.

**თინათინ ზოიძე,** აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე: —დღეს



*„ჯვარიმინდორობის“ დღესასწაული იმართება, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივებს მაქსიმალურად გაეცნონ ერთმანეთს. ასევე დაიცვან ის მდიდარი ტრადიციები და კულტურა, რაც ზოგადად მაღალმთიან აჭარას ახასიათებს.*

*ამ ღონისძიებაში აქტიურად არიან ჩართულნი აჭარის მუნიციპალიტეტები. დღეს აქ გაიხსნა საკემპინგე სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტებს, დაუკავშირდნენ სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებს. ტურისტებს აქედან აქვთ საშუალება იმოგზაურონ ქობულეთის მუნიციპალიტეტის კინტრიშის ხეობაში, გადავიდნენ ჭვანას ხეობაში, იქიდან ღორჯომის ხეობაში ან გომისმთის გზით გურიაში გააგრძელონ ტურისტული მარშრუტი.* —გვითხრა თინათინ ზოიძემ.

**ნინო რაზმაძე,** ეთნომუსიკოლოგი: *—„ჯვარიმინდორობა“ მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რადგან აქ თავს იყრიან აჭარლები, ჭვანის ხეობის წარმომადგენლები, ასე მეზობელი გომისმთის მხრიდან გურულები. საინტერესოა სიმღერისა და ცეკვის მხრიდაც იმდენად, რომ აქ შეიძლება ვნახოთ მათი მრავალფეროვნება, როცა მთაზე შეფენილი მუსიკოსები და ინსტრუმენტალისტები მღერიან და ცეკვავენ.*

*რაც დრო გადის, უფრო მეტად კეთდება აქცენტი ტრადიციებზე, კონკრეტული სიმღერისა თუ ცეკვის ტრადიციულ ვარიანტებზე და საზოგადოების პრიორიტეტი ჩვენი ტრადიციების შენარჩუნება ხდება. ამ მხრივ ძალიან აქტიურად მუშაობს შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.*

*ჭვანის ხეობის ფოლკლორი ახლოსაა გურიის ფოკლორთან და სიმღერების დასახელებით, მრავალხმიანობით და ცეკვების ფორმებითაც, და ეს შემთხვევითი არ არის*—გვითხრა ნინო რაზმაძემ.

**ტარიელ ბოლქვაძე,** ანსამბლ „ჭვანას“ ხელმძღვანელი: — *ჩვენ უკვე მერამდენედ ვხდებით ერთმანეთს. უდიდეს პატივს ვცემ გურულ ფოლკლორს. ბევრ ანსამბლს ვიცნობ და მომწონს მათი ხელოვნება. ვმეგობრობთ ანსამბლ „იადონთან.“. როგორი გამორჩეული იყო მათ მიერ შესრულებული „ხასანბეგურა.“ ჩვენ სიმღერა გენში გვაქვს. ჭვანას ხეობა მდიდარია ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუშებით. აქ ერთი სიმღერის 3-4 ვარიანტს წააწყდებით. მაგალითად ჩვენი ანსამბლი „ნადურის“ და „მაყრულის“3-4 ვარიანტს ასრულებს. ჭვანას ხეობისა და გურიის ფოლკლორული ნიმუშების გაცნობა ხდება ამ ფესტივალზე. ეს კი ხელს შეუწყობს ამ ორი მხარის მეტად დაახლოებას.*

**ნოდარ როყვა,** ანსამბლ „იადონის“ წევრი: *—მეოთხედ ამოვედით ამ ფესტივალზე და უდიდეს ყურადღებას და სითბოს ვგრძნობთ. სამწუხაროდ, წინა ფესტივალის შემდეგ სამი ცნობილი მომღერალი მოსე სვანიძე, გურამ ღლონტი და თამაზ თავდუმაძე გამოგვაკლდა . თუმცა, „იადონი“ აგრძელებს ტრადიციებს. მადლობა ოზურგეთის კულტურის ცენტრს მხარდაჭერისათვის.*

**ნუგზარ ასათიანი**

# „არავინ იცის, სად იწყება და მთავრდება სიცოცხლე...“



ადამიანი როცა დაიბადება, მას უწერია, რამდენი ხნით არის მოვლენილი, თუ რა თქმა უნდა ძალით არ მოისწრაფებს თავის სიცოცხლეს.

დავიბადე 1941 წელს. ჩემი დაბადებიდან ზუსტად ოთხ თვეში დაიწყო სამამულო ომი და ისეთი გაჭირვებული ცხოვრება გამოვიარე, ნამდვილად არ მეგონა თუ ამდენ ხანს ვიცხოვრებდი ამ ქვეყნად.

მამას თავისი სპეციალობის გამო მთავრობისაგან სპეციალური ჯავშანი ჰქონდა და ფრონტზე წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ როცა მისი მეზობლები და მეგობრები წავიდნენ ფრონტზე, სოფელი ჯანმრთელი ადამიანებისგან დაცარიელდა, ისირცხვილა და მოხალისედ წავიდა ომში. იბრძოდა ქერჩში, სადაც ორჯერ დაიჭრა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

მხოლოდ 46 წლის შემდეგ მივაგენით მის საფლავს. ის დაკრძალულია დაღესტანში, ქ. დერბენტში, ძმათა სასაფლაოზე.

1989 წელს მოვინახულე მამის საფლავი, სადაც დავდგი გრანიტის ქვა სურათითა და წარწერით.

დედამ თავისი პატიოსანი შრომით აღგვზარდა ხუთი შვილი.

შემომეცალა ჩემი დედმამიშვილები, დავკარგე ძალიან ბევრი საყვარელი სისხლით ნათესავები, მეგობრები, მეზობლები. ისეთი ხალხი შემომეცალა გვერდიდან, სიცოცხლის თანმიმდევრობა რომ იყოს, ბევრი ჩემს გვერდით უნდა ყოფილიყო და მე გავეცილებინა იმქვეყნად.

მინდა დიდხანს ვიყო ამქვეყნად, რადგან რაც მთავარია, კარგად მყავს მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილებსაც მოვესწარი, რომლითაც ვხარობ.

როგორც აღვნიშნე, არავინ იცის, სად იწყება და მთავრდება სიცოცხლე, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი ცხოვრების ნიუანსები ლექსად გადმომეცა. (ვაქვეყნებთ შემოკლებით):

კაცის ცხოვრება მოკლეა, მუხთალი,
დაუნდობელი,
ისე ამთავრებ სიცოცხლეს, ბევრი რამ
გრჩება სათქმელი,
მინდა, რომ ახლა გიამბოთ, რაც დამრჩა
თქვენთვის უთქმელი,
დამშვიდებული მივდივარ, ვარ
ვალმოხდილი ქართველი.
დიდი ოჯახი რომ შექმნა, სირთულეები
ბევრია,
მაგრამ დაგრჩება სახელი, რომლის
წაშლაც კი ძნელია,
ოჯახზე მუდამ ვფიქრობდი, ბევრჯერ
შემშლია ხელია,
თან გვერდით მედგა იზო და მისი
ამაგიც ბევრია.

სიმღერა ჩემი ჰობია, ანსამბლიც ბევრი
მყოლია,
დრომ მოიტანა და ბოლოს, არცერთი არ
გამყოლია,
დიდი ხანია ვდარაჯობ ანსამბლ
„ხელხვავს“ და „იადონს“,
მსურს რომ მწვერვალზე ავიდნენ,
ცხოვრებამ არსად მიაგდოს.
ამიტომ მე არ ვიშურებ, ცოდნას და
გამოცდილებას,
ვემსახურები პირნათლად, არასდროს
ვარღვევ პირობას,
თქვენ ისე განვლეთ ბიჭებო, ცხოვრების
გზა და კვალია,
თორემ პირშავი ბევრია, იტყვის
აღმზრდელის ბრალია.
მუდამ სიკეთეს ვთესავდი, ყველას გაუგო
ძნელია
ბევრი მყავს მოსიყვარულე, უკმაოფილოც
ბევრია,
ღმერთს მივანდევი ყველანი, ვინც
შემახოცა ხელია,
უფალი დასვამს დიაგნოზს, ვინ
ბოროტია, ბრძენია.

**ბიძინა მჟავია**

ანსამბლ „იადონის“ ხელმძღვანელი

# ...სტუმართმოყვარე, ტრადიციული სიკეთისა და სიყვარულის მიმართ, ჰაეროვანი, უდიდესი წარსულის მქონე და ულამაზესი საფრანგეთი...



...ბავშვობისას, კომუნიზმის პიკზე დაბადებისას, როცა ტელევიზორი მხოლოდ ორ არხს უჩვენებდა და ისიც იშვიათად საინტერესო თუ იყო, დიდება უფალს-წიგნების კითხვა შემიყვარდა...დავიწყე ზღაპრებით შვიდი წლისამ...ასაკის ზრდასთან ერთად, მოთხოვნილებაც გამეზარდა და შესაბამისად შემეცვალა...მესამე, თუ მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ,,სამი მუშკეტერი და დ არტანიანი‘‘ მოხვდა ჩემს ხელში... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა სკოლაში წასული ვიხსენებდი, რომ სახლში მისულს, საყვარელი წიგნი მელოდა...ბავშვის ასაკთან შედარებით, წიგნი ძალიან მალე წავიკითხე...და მოვიწყინე... გადავიკითხე ,,ტომ სოიერის თავგადასავალი‘‘ ,,უთავო მხედარი‘‘, ,,ოკეანეში დაკარგულები‘‘..ძალიან ბევრი წიგნი, მაგრამ ვერ მივილე ისე ახლოს, როგორც ,,სამი მუშკეტერი‘‘..ალბათ უფლის ნება იყო, რომ ერთმანეთს გადავაწყდით მე და ,,გრაფი მონტე კრისტო..‘‘ ამ დროისთვის 14 წლისამ ალვიქვი, რომ ეს წიგნები არა მარტო მწერლებით, არამედ კიდევ სხვა რალაცით მომწონდა...უფრო ინტერესით დავიწყე საფრანგეთის ისტორიის შესწავლა და მივხვდი, რომ არის მხარე, ქვეყანა, სადაც ხალხია თვითონ საინტერესო და ძალიან საყვარელი, რომელ ხალხშიც იბადება და იზრდება ეს მწერლები...შემდეგ დაიწყო კინო ეპოპეები:,,ფანტომასი‘‘, ,,ზორო‘‘, ,,პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი‘‘ და დავრწმუნდი, რომ არის სადღაც სახელმწიფო, რომელშიც ყველა ლამაზი სულისაა და ყველა ლამაზად აზროვნებს...,,ქალი კამელიებით‘‘, ,,მანონი ლესკო‘‘, ,,მოხუცი მებადური‘‘...,,ბუადირეს წარჩინებული ბატონები‘‘...მე დამატყვევა საფრანგეთმა...როცა შავ ზღვას ვუყურებდი სევდიანი სახით, ვფიქრობდი სულ და ვნატრობდი, მოვხვდები კი ოდესმე იქ, სადაც ჩემი ბავშვობის ოცნებები დაიბადა...

...გადის წლები და საფრანგეთში ვარ...მე, არ ვაპირებდი აქ დიდი ხნით ჩამოსვლას...მაგრამ ჩამოსვლიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, როცა ვემზადებოდი სახლში წამოსასვლელად, აღმომაჩნდა ყელის ავთვისებიანი, მეოთხე სტადიის კიბო...არ დავკონკრეტდები, მოკლედ ვიტყვი, რომ დოკუმენტაცია მქონდა არა სახარბიელო მდგომარეობაში და რაც მთავარია, არ მქონდა დაზღვევა...მაგრამ ჩემმა ღმერთმა და ჩემმა ბავშვობაში შეყვარებულმა საფრანგეთმა, გულში ჩამიხუტა იმ ჩემი ბავშვობის სიყვარულის გამო...მე, გამაოცა ამ ადამიანთა დიდმა გულმა, ამათმა კეთილშობილებამ, ამათმა ქალობამ, ამათმა კაცობამ...საავადმყოფოში მოხვედრამდე ვაკვირდებოდი და არ არსებობს ევროპაში ხალხი ასეთი თბილი...პოლიცია ასეთი მეგობრული და გამგები...ქალები, რომლებთაც არ ჭირდებათ პრანჭვა და არიან ძალიან თავისუფალნი...კაცები, რომელთაც უყვართ კარგი ღვინო და აქვთ კარგი ღვინო, უყვართ ქეიფი და ქეიფობენ...სახელმწიფო, სადაც ყველა თავისუფალია და არავინ-არავისზე მაღლა არ დგას...სადაც არავის ეშინია ვინმეს, ღარიბს-მდიდარის, ნარკომანს-პოლიციელის, გლეხს-დეპუტატის, მუშას-პროკურორის...არა...სრული თავისუფლება...ულამაზესი ბუნება... გადაჭიმული ტყეები, მინდვრები, მდინარეები სავსე თევზით, რომელსაც არც აფეთქებენ და არც ,,ტოკავენ‘‘...სადაც ჟურნალისტებს აქვთ სრული თავისუფლება და წერენ შიშის გარეშე...





...როგორც კი გამსინჯა ქალბატონმა მართამ (ემილი მარტინი), ეგრევე კიბოს დიაგნოზი დამისვა... მას შეეძლო არც გავესინჯე, არ მქონდა დაზღვევა, მაგრამ შემიცოდა უცხო და განწირული...და მისცა თავს უფლება, ყოფილიყო ღვთისა იმ წუთს...და წარმოიდგინეთ დაუჯერებელი, ამ ქალბატონმა კიდეც მომათავსა საავადმყოფოში, ოპერაციაც გამიკეთა, ახლა რადიოსხივების კურსს გავდივარ და მეპატრონა ბოლომდე... საავადმყოფოს იმ ულამაზეს კოლექტივთან ერთად, რომლებმაც ჩემთვის მძიმე წუთებში, როგორც მამას, ძმას და მეგობარს მეპატრონენ...ელზასში პატარა ქალაქ ჰაგენაუ-ს საავადმყოფო, ამ ლამაზსულიანმა ხალხმა, ჩემთვის სამოთხედ გადააქციეს...არსად მინახია ასეთი ყურადღება, ასეთი სითბო, სიყვარული და რაც მთავარია, ეს დევს ამ ხალხში...ამ საავადმყოფოს მეშვიდე სართულის მედ.პერსონალთა სახეები, გახდა ჩემი საყვარელი სახეები მთელი ცხოვრების გზაზე...ახალნაოპერაციებს, ღამეებს მითევდნენ, მამხნევებდნენ, მახალისებდნენ...რაც შეეხება ჩვენი განყოფილების მზარეულებს, არ ვიცი რა სიტყვებით გადმოგცეთ მათი ზრუნვა ჩემზე...იმდენად ახლო არიან, რომ როგორც ოჯახის წევრს, სახლიდან მიზიდავენ ხშირად ხილსა და ტკბილეულს...მე, გამაოცა ფრანგმა ხალხმა და ყოველი ქართველის გასაგონად მინდა მადლობა გადავუხადო საავადმყოფოს უფროსს, ყველა მის მოადგილეს, ყველა ექიმს, ქალბატონ მართას განსაკუთრებით და ასევე განსაკუთრებით მეშვიდე სართულის მედ.კოლექტივს, მზარეულებს, პირველ რიგში სიცოცხლისათვის და შემდეგ უკვე, იმ ფრანგული კეთილშობილებისთვის, რომელსაც ბავშვობისას წიგნებში ვკითხულობდი...ჩემი სამშობლოა საქართველო...და მის შემდეგ, ჩემი სფრანგეთი...

...მადლობა საფრანგეთს...მადლობა სტრასბურგს...მიყვარხარ

**თემურ ბაქანიძე...**

**p.s.** მწერალი თემურ ბაქანიძე ათიოდე წლის წინ გაზეთ ,,ალიონში‘‘ მუშაობდა. არაერთი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული ტრეფიკინგზე, სოფლის პრობლემებზე. ამჟამად იგი ოპერაციის შემდგომი პერიოდის მკურნალობის კურს საფრანგეთში, ელზაში, ქალაქ ჰაგენაუს კლინიკაში გადის.

ჯანმრთელობა ვუსურვებთ თემურ ბაქანიძეს.

## ხსოვნა

# ლიანა იმედაშვილი



ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი, რჩეულთა შორის რჩეული პედაგოგი, მართვის ხელოვნებითა და სანიმუშო ნაღვაწით დამშვენებული, ტოლუპოვარი ხელმძღვანელი, სახალხო განათლების წარჩინებული, ღირსების ორდენოსანი, პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ღირსეული ქალბატონი ლიანა იმედაშვილი გამოაკლდა. ქალბატონი ლიანა ათეული წლების მანძილზე უშურველად, მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა პედაგოგის საპატიო მისიას. მისი პროფესიული სავალი გაჯერებული იყო მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის კეთილშობილური მიზნებით, აუწყავი, უანგარო შრომისა და კოლექტივისადმი გულისხმიერ იდამოკიდებულებით.

იგი 18 წლის განმავლობაში გამორჩეული ნიჭით, უშრეტი ენერგიით, ახლის ძიების დაუშრეტელი სურვილით, პროფესიის ფანატიკური სიყვარულით,

ღირსეულად ხელმძღვანელობდა ქალაქ ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის №2 საჯაროსკოლას.

უსაზღვროდ დიდია ქალბატონი ლიანას დამსახურება მან მუხლჩაუხრ-ელი შრომით, მაღალი პროფესიონალიზმით, ატარა ერთობ მძიმე, მაგრამ მეტად საპატიო ტვირთი პედაგოგისა. უკვალოდ არ ჩაუვლია მის ნაღვაწს დაჯილდოვებული პირველი ხარისხის დიპლომებით, ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, იყო სახალხო განათლების წარჩინებული, ღირსების ორდენოსანი. მიღებული ჰქონდა საპატიო ოზურგეთელის წოდება.

ბედმა გაუსაძლისი ტკივილი არგუნა წილად, შვილი დაეღუპა, თუმცა სულიერად არ დაეცა, არ გატყდა, წუთისოფელს თვალი არ მოუხუჭა და ცხოვრება გააგრძელა. ,,კურთხეულია ნაბიჯი ვალმოხდილისა‘‘ ქალბატონმა ლიანამ პირნათლად მოიხადა ვალი საკუთარი ოჯახის, ქვეყნის, მშობლიური სკოლის წინაშე.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი!

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

# გური გოლიაძის გახსენება

გური ივანეს ძე გოლიაძე დაიბადა 1930 წელს, სოფელ მაკვანეთში. სიმღერის ნიჭი მას ბავშვობიდან აღმოაჩნდა. ჯერ მაკვანეთის სოფლის გუნდში მღეროდა, რომელსაც ცნობილი ლოტბარი არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გურიმ სწავლა გააგრძელა ოზურგეთის ჩაის ტექნიკუმში. ბოლო კურსზე იყო, რომ გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ჯარიდან დაბრუნებული ჩაერთო ჩაერთო სასიმღერო ხელოვნებაში. როგორც ნიჭიერი მომღერალი ვლადიმერ ერქომაიშვილმა მიიწვია ოზურგეთის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

გური გარკვეული წლები მუშაობდა მაკვანეთის საშუალო სკოლაში, სადაც შეიძლება ითქვას, პირველმა შექმნა ბიჭუნათა ანსამბლი. მისი აღზდილები ახლაც მოღვაწეობენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ანსამბლში და აქტიურად არიან ჩართული რაიონის კულტურულ ცხოვრებაში.

გური გოლიაძე ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია რაიონის ხელოვანთა შორის. იგი აქტიური წევრი იყო სოფლის იმ ახალგაზრდათა შორის, რომლებიც არა



მარტო სიმღერით, არამედ სამსახიობო ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. მე კარგად მახსოვს, მაკვანეთის სოფლის ახალგაზრდული თეატრალური დასის მიერ დადგმული სპექტაკლი ,,ხევისბერი გოჩა,‘‘სადაც გური ერთ-ერთ მთავარ როლის —ონისეს ასრულებდა. თეატრალურ დასს მაკვანეთის სკოლის პედაგოგი ვანო თოიძე ხელმძღვანელობდა. ამ სპექტაკლმა წარუშლელი კვალი დატოვა რაიონის მაყურებელთა შორის.

გური ხელმძღვანელობდა სოფლის საკოლმეურნეო გუნდებს მაკანეთში, თხინვალში, ექადიაზე და სხვა.

გურის შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ჰყავდა მეუღლე —ლამზირა ბოლქვაძე., არაჩვეულებრივი შვილები : ლევანი და თენგიზი, რომლებიც სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში გარდაიცვალენ.

ჰყავს შვილიშვილები, რომელთაგან გამოვყოფ —ლუკას, რომელიც უნიჭიერესი ახალგაზრდაა. იგი ფლობს ყოველგვარ ინსტრუმენტს და მღერის შესანიშნავად. ამჟამად არის ანსამბლ ,,შვიდკაცას‘‘ წევრი.

გიორგი ამჟამად სწავლობს გიორგი მთაწმინდელის სახელობის ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში. იგი ადრე დაუბრუნდება მშობლიურ მხარეს და გააგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას ხელოვნების დარგში.

გური გოლიაძე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვა ულევი სიყვარული.

იგი გარდაიცვალა 1986 წელს. დაკრძალულია სოფელ მაკვანეთში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი გური!

**ტრისტან სიხარულიძე,**

ხელოვნების ქურუმი.

## ხსოვნა

# ზაურ გაბრიჩიძე



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკოლ-ოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ზაურ გაბრიჩიძე**.

ბატონმა ზაურმა მთელი თა-ვისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის და ჩვენი ქვეყნის მომავალზე ზრუნვის სამსახურში გაატარა. ნიჭიერებამ, პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ, შესაშურმა შრომისმოყვარეობამ და საქმისადმი უანგარო დამოკიდებულებამ მის პიროვნებას საზოგადოებაში განსაკუთრებული გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

ბატონი ზაური დაიბადა 1939 წელს. 1962 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი და ამავე წელს ჩაირიცხა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. სწავლის პერიოდში პრაქტიკული და თეორიული კურსი გაიარა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიაში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1967 წლიდან 2015 წლამდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის სხვადასხვა თანამდებობაზე, დაწყებული ლაბორატორიის გამგიდან დამთავრებული აგროტექნოლოგიის განყოფილების გამგემდე. 2015 წლიდან დღემდე მუშაობდა სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. ჰქონდა დიდი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება. ოცი წლის მანძილზე პარალელურად კითხულობდა ლექციებს ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ინდოეთის, ვიეტნამის, შრი-ლანკის და მაროკოს რესპუბლიკებში. გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათი საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვებული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელებით და მედლებით, ხოლო 2011 წელს ღირსების ორდენით. 2010 წლიდან არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონმა ზაურმა ამ ქვეყნად დატოვა წარმატებული ოჯახი, მეუღლე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ჯილდა ლოლაძე, შვილი: ექიმი, პედიატრი თამარ გაბრიჩიძე, შვილიშვილები და შვილთაშვილები. სამწუხაროდ ბატონმა ზაურმა უდიდესი ტკივილი განიცადა დიდებული ოჯახის მქონე და საზოგადოებაში გამორჩეულად საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ვაჟის შალვა გაბრიჩიძის ცხოვრებიდან ნაადრევად წასვლის გამო.

ბ-ნი ზაური სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ენერგიით აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მჭიდრო კონტაქტს ამყარებდა ფერმერებთან, გლეხებთან, ბიზნესმენებთან. მისი მაღალკვალიფიციური რჩევა-დარიგებები ძალზე საჭირო და დროული იყო თითოეული კულტურის მოვლა-მოყვანის აქტუალურ საკითხებზე, ამაზე მიუთითებდა მის მიერ რეგულარულად გამოქვეყნებული წერილები გაზეთების და ჟურნალების ფურცლებზე. ის, როგორც ბიოლოგი, ეკოლოგი ხშირად ატარებდა საჯარო ლექციებს სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, მისი ოცნება იყო ანასეული თავისი ინფრასტრუქტურით საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებით და დასაქმებული კადრებით კვლავ წარმოჩენილიყო ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. ცხოვრების უკანასკნელ წლებში მისი ავტორობით გამოიცა წიგნი ფერმერთა დასახმარებლად „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცევა სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ყველა პირთათვის.

ბატონი ზაური საუკეთესო მრჩეველი, თანამდგომი და მეგობარი იყო, საქმეში და ცხოვრებაში უღალატო. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ადამიანს იმაზე დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და საზოგადოებას.

ღრმა მწუხარებით ვუთანაგრძნობთ ბატონი ზაურის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მისი ნიჭის უამრავ თაყვანისმცემლებს და მეგობრებს მისი გარდაცვალების გამო.

უფალო დაუმკვიდრე ცათა სასუფეველი ბატონი ზაურის სული.

**სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“**

# სამგლოვიარო განცხადებები

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი პედაგოგის, ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, ოზურგეთის საპატიო მოქალაქის **ლიანა იმედაშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი ფეხბურთელის, საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისთვის მებრძოლის **მურთაზ აბაშიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, **ზაურ გაბრიჩიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# სკანვორდი



მეზობლის შესანახი ყუთი (ძვირფასეულობის შესანახი ყუთი); ეშხი; შინაური ფრინველი; სავარჯიშო სიმძიმე; კლაიდი; ორი ქულა რაგბში; ვერძი ცხვარი; მერხნიანი ხე; ძაღლის ჯიში; თამაში კუბების ასაწყობად; მილანის ბრაზილიელი ვარსკვლავი; სავაჭრო ნიშანი; თმის სტილი; ძველი ტაძარი; სიმინდის; სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; ულელტეხილი; ლეგენდარული ქალაქი; ქარბორბალა; მხარე საქართველოში; ბარდა; ესპანური საფეხბურთო გუნდი; ანი და ......; ძალიან დიდი; ამერიკული ლოტო; ნერგი; ზღვისგან გამოყოფილი ყურე; კეისრის მიმართვა; ბილიარდის სახეობა

## პასუხები:

სურათზე: ანტონიო ბანდერასი, სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში პანამა; ულელტეხილი გოდერძი; ნერგი კოშტი; სავაჭრო ნიშანი ლოგოტიპი; ქარბორბალა ტორნადო; ესპანური საფეხბურთო გუნდი სპორტინგი; ანი და ჰოე; ძალიან დიდი გიგანტი; ეშხი შარმი; ვერძი ცხვარი ერკემალი; ორი ქულა რაგბში გარდასახვა; ზღვისგან გამოყოფილი ყურე ლაგუნა; ამერიკული ლოტო ბინგო; თმის სტილი დრედი; ძვირფასეულობის შესანახი ყუთი ზარდახშა; ბილიარდის სახეობა სნუკერი; სიმინდის კოტა; კეისრის მიმართვა ავე; ბარდა ოსპი; ძველი ტაძარი რუისი; მხარე საქართველოში სვანეთი; კალიდი ბონი; მერხნიანი ხე რცხილა; თამაში კუბებით ასაწყობად ლეგო; შინაური ფრინველი იხვი; სავარჯიშო სიმძიმე გირა; ძაღლის ჯიში ბო; მილანის ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა.

# ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)




### მოწყალე სიტყვანი ხელმწიფე იმპერატორისა მუშათა მიმართ

*მეფე ესავს უფალსა და წყალობითა მაღლისათა არა იძრას*
*(ფსალმუნნი, 20, 7)*

*კურთხევითა ყოვლად-უსამღვდელოესთა მიტროპოლიტთა და არქიერთა, უწმინდესს სინოდში მსხდომარეთა, ჩვენ, ძმანო, გაუწყებთ თქვენ იმ მოწყალე დარიგებას, რომელიც მისცა კეთილმსახურმა და ქრისტეს-მოყვარე ხელმწიფემ პეტერბურგის ფაბრიკების რუსის მდაბიო მუშებს, როდესაც გამოიწვია იმათი წარმომადგენელნი ქუჩებში უწესოების ჩადენის შემდეგ. ამ უწესოებაში ჩარიეს ფაბრიკებში მომუშავე ხალხი, რომელიც თვისის გულუბრყვილობის გამო მიენდო სახელმწიფოს მოღალატეებსა და მტრებსა. ეს მტრები აღელვებენ ხალხსა ქალაქებში და სოფლებში და ამისათვის სარგებლობენ მძიმე ომიანობითა ისე, როგორც გააფ-თრებულნი მცარცველნი სარგებლობენ შემოდგომის ბნელის ღამითა თავიანთ ავაზაკობის შესასრულებლად. თქვენ იცით, რომ, სამწუხაროდ, ჩვენშიაც, კავკასიაში, ბოროტ კაცთა ჩაგონებით მოხდა იმისთანავე უწესოებანი. გაიგონეთ, მაშ, ბრძნული და კეთილი სიტყვა მეფისა.*

*ჩვენმა კეთილმა მეფემ შეუნდო შემცდარებს, დაარიგა ისინი სიტყვიერად, იმიტომ, რომ იგი არის არა მხოლოდ მფლობელი და მსაჯული თვისის ერისა, არამედ მოსიყვარულე მამაც, რომელიც გულით სწუხს და ენანება თავისი, ასე გასინჯე, უგუნური შვილები. გახსოვდეთ ესა, საყვარელნო ძმანო, შვილნო რუსეთის სამეფოისა, მართლმადიდებელნო ქრისტეანენო და იცოდეთ, რომ არ არის ქვეყანაზე სხვა უფლება, რომელსაც შეეძლოს ასე უანგაროდ გაგიფრთხილდნენ და შეგიყვარონ თქვენ, მშვიდობიანნი მუშანი, როგორც მეფობის უფლებასა, ღვთისაგან დაწესებულსა, მიღებულთა სამკვიდროდ ადრინდელის კეთილმორწმუნე მეფეთა და დიდთა მთავართაგან — მოციქულთა სწორის ვლადიმირისა, მოწამეთა ბორის და გლებისა, კეთილმორწმუნის მიხაილისა, ალექსანდრე ნეველისა და მათ შთამომავლობათაგან.*

*მოიგონეთ, ვინ ილვწოდა ამ უკანასკნელ ხანში თქვენთვის და წმინდა სიმართლისათვის? ვინ გამოიხსნა საქართველო დაუნდობელ მტერთა ხელიდგან? რუსის მეფეებმა. ვინ შემოიტანა კავკასიაში მშვიდობა, წეს-რიგი, ააშენა გზები, გააჩაღა ვაჭრობა მთელის საუკუნოების ომებისა, უწესოების და არეულ-დარეულობის შემდეგ? რუსის მეფეებმა. ვინ გაათავისუფლა გლეხობა ბატონ-ყმობისაგან? მეფემ.*

*ვის მიჰყავდა ჯარები ულვთო ოსმალთა წინააღმდეგ, რომელნიც მუსრავდნენ ქრისტეანებსა? ჩვენს მეფეებსა.*

*ვინ მისცა შეღავათი უმიწაწყლო გლეხებს, რომ გამოესყიდნათ მიწები და დასახლებულიყვნენ თვალუწვდენელ ნაყოფიერ იმპერიაში? ჩვენმავე მეფეებმა. საუკუნო ხსენება გარდაცვალებულ ხელმწიფეთა და სასუფეველი ცათა.*

*ვინ განიმსჭვალა იმ აზრით, რომ ედიდებინა სათნომყოფელნი ღვთისანი წმინდა მღვდელმთავარი თეოდოსი ჩერნიგოველი და ღირსი სერაფიმ საროველი? ვინ გაეშურა შორს უდაბნოს და მშვიდობიან მლოცველებთან ერთად ლოცულობდა იქ, ჰღვრიდა ცრემლებსა და მიიღო ზიარება ქრისტეს საიდუმლოთა ერთის ბარძიმიდან მდაბიო ხალხთან? იმანვე, ჩვენმა საყვარელმა და სიყვარულ-უხვმა მეფემ ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძემ ღვთოვალი მეუღლით და ღვთოვალი დედით. ხალხთან ერთად ერთის პირითა და ერთის გულით აღავლენდნენ ისინი ლოცვასა და უფალმაც დაასაჩუქრა ისინი და მთელი რუსის ერი ერთის საზოგადო კურთხევითა; მისცა იმათ პირველი ძე — მემკვიდრე სამეფოსი, ცესარევიჩი, ალექსი ნიკოლოოზის ძე და ამით ღმერთმა აჩვენა თვისი წყალობა, როგორც სამეუფეო სახლისა, ისე მთელის რუსის ერისადმი.*

*შეინახეთ, ძმანო, ეს ღვთის კურთხევის წინდი! მაგარ და შეურყეველ კედლად ექმენით თქვენს მეფესა, რუსეთის მიწა-წყალსა იმის ძველის-ძველ ქრისტეანულ წესწყობილებისათვის, რომელიც გვიანდერძეს ჩვენმა წმინდანებმა. ნურავის ნუ ენდობით, როცა ტყუილის ქადაგებით უნდოდეთ თქვენი აშფოთება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ყველა გონიერი ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ რუსეთში ყველა მტერი მეფის უფლებისა, ამასთანავე, ყოველთვის ქრისტეს სარწმუნოებისა და ხალხის მტერნიც არიან.*

*ღმერთმა კი დაიფაროს და იმათ რომ ჩაუვარდეთ ხელში უფლება ჩვენზე, მალე მთელს ცხოვრებას ხალხისას გადაარიახებდნენ, გაურყვნიდნენ ხალხს გულსა და სულსა, გადაუყენებდნენ ქრისტე მაცხოვარსა და იმის სწავლა-მოძღვრებასა.* ***მაშინ იმათი უფლება ბევრით მძიმე იქნებოდა უწინდელ თათრების უფლებაზე,*** *რომელნიც თუმცა ავიწროებდნენ რუსებსა და ქართველებსა, მაგრამ სარწმუნოებას მაინც არ ეხებოდნენ. ამათ კი შეიყვარეს ამპარტავნება და სიცრუე, შეიძაგეს წმინდა სარწმუნოება ჩვენი და ზიზღით ლაპარაკობენ იმაზე ისე, როგორც უწინდელი უსჯულონი:* ***განვხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი,*** *ხოლო ჩვენ, ძმანო, სარწმუნოებით და სასოებით განვიმეოროთ შემდეგი სიტყვანი ფსალმუნისა:* ***რომელი დამკვიდრებულ არს ცათა შინა, ეკიცხნის მათ*** *(ფსალმუნნი, 3-4).*

*მაშ, ერიდენით მაგ მაშფოთრებსა, ძმანო, რომ არ განარისხოთ უფალი ღმერთი და არ მიეცეთ საშინელსა წყევასა მისსა, რამეთუ უწყის უფალმან გზა მართალთა და გზა ულმრთოთა წარწყმდეს.*

*მტკიცედ იყავით წმინდა სარწმუნოებაზე და მართლმადიდებელ მეფისადმი, უსმინეთ თქვენთა მამა-პაპათა კეთილს სწავლა-დარიგებას, ილოცეთ ქრისტეს ეკლესიასთან ერთად, რომ უფალმა დასთრგუნოს შინაური და გარეშე მტრები. ამათ მამაცურად ებრძვის ქრისტეს მოყვარე მხედრობა ჩვენი, რომელნიც მზად არიან, თავი გასწირონ მეფისათვის. ილოცეთ, რომ ღმერთმა გამარჯვება მოგვცეს, რომ ჩვენი მეფე იყოს საშინელ უკეთურთათვის, მოწყალე და იმედი კეთილთათვის, ალაფრთოვანოს გული მისი შეწევნად ღარიბთა, შემწედ ჩაგრულთა, რომ ყველამ დაიმარხოს გულში ერთგულება მისი, ხოლო ახლა მოვისმინოთ მოწყალე სიტყვანი* ***ხელმწიფე იმპერატორისა მუშათადმი.***

* * *

*ოთხშაბათს, 19 იანვარს 1905 წ., ნაშუადღევის სამ საათზე, ცარსკოე სელოს ალექსანდროვის სასახლეში მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა სატახტო ქალაქის და მის გარშემო მდებარე ქარხნების და ფაბრიკების მუშების დეპუტაცია, ასე, 34 კაცი. როცა მისი უდიდებულესობა მიესალმა დეპუტაციას, იმან რუსულის ჩვეულებისამებრ მდაბლად დაუკრა თავი. ხელმწიფე იმპერატორმა გაამხნევა დეპუტაცია შემდეგის მოწყალე სიტყვებითა:*

*„მე მოგიწოდეთ თქვენ იმიტომ, რომ პირათ მოისმინოთ ჩემი სიტყვა და გადასცეთ თქვენს ამხანაგებს. შეუსაწყნარებელი მოვლენანი და იმათი სამწუხარო შედეგი — აჯანყებები — მოხდა იმიტომ, რომ თქვენ შეხვედით შეცდომაში და მოტყუებაში ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან. იგინი, როდესაც გიწოდებდნენ ჩემდა თხოვნის მოსართმევათ თქვენი გაჭირვების შესახებ, ამით თქვენ აჯანყება მოგახდენინეს ჩემ და ჩემი მართებლობის წინააღმდეგ და ძალად დაგანებებინეს თავი პატიოსან მუშაობასა იმ დროს, როდესაც ყოველი ჭეშმარიტი რუსი უნდა საერთოთ სცდილობდეს და დაუღალავად მუშაობდეს ჩვენის გარეგანი მოუსვენარი მტრის დაძლევისათვის. შეთქმულება და ასაჯანყებელი ყრილობანი მარტო აქეზებენ უსაქმო ხალხს იმისთანა უწესოებებზედ, რომელთაც ყოველთვის გამოუწვევიათ და კვალადაც გამოიწვევენ მართებლობას ჯარის დახმარებაზედ და ამას ძალა-უნებურათ მოსდევს უდანაშაულო მსხვერპლების შეწირვა. ვიცი, რომ ადვილი არ არის მუშის ცხოვრება, ბევრი უნდა გაუმჯობესდეს და გაწესიერდეს, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. თქვენ თვითონ სვინიდისის ქვეშ უნდა გესმოდეთ, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ საქმის პატრონებსაც და ყურადღებაში უნდა ვიქონიოთ სარეწავის (ალებ-მიცემობის) პირობებიც. ჩემს მუშა ხალხზედ ზრუნვას ისე დავაყენებ, რომ ყოველივე შესაძლებელი მათ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად შესრულებული იყოს და სამერმისოდ დაცულნი იყოს მათთვის კანონიერნი გზანი მათი (საყოველდღეო) ნამდვილი გაჭირვების გამოსარკვევლად. მე მწამს პატიოსანი მუშა ხალხის გრძნობა და მათი შეურყეველი ერთგულობა ჩემდამო და ამიტომ ვპატიებ მათ დანაშაულობას. ეხლა დაუბრუნდით მშვიდობიან მუშაობას, ახსენეთ ღმერთი და შეუდექით საქმეს თქვენის ამხანაგებითურთ და იყოს ღმერთი თქვენი შემწე".*

### სიტყვა მხედრობას (მობილიზაციის გამოცხადება)

*ერთი მოძღვარი ეკკლესიისა ამბობს: „ღმერთს გულკეთილი მშვიდობიანობა უყვარს, მაგრამ ღმერთივე აკურთხებს ხოლმე სამართლიანს ომსა. ქვეყნიერობაზე მუდამ არიან არა მშვიდობის მყოფელნი ხალხნი, ამიტომ მშვიდობიანობით უომრად ვერ დასტკბება ადამიანი, მშვიდობიანობის დასაცველად საჭიროა, რომ ძლევამოსილმა არ დააჟანგოს თვისი მახვილი". ამიტომაც საღმრთო წერილი ამბობს:* ***კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ჩემი, რომელმან ასწავა ხელთა ჩემთა ღვაწლი და თითთა ჩემთა — ბრძოლაი"*** *(ფსალმუნნი, 143, 1). ამიტომ ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა უწოდებს თავსა თვისსა* ***მხედრობის უფლადაც.*** *საღმრთო წერილი გვემოწმება, რომ უფალმა აკურთხა საჭურველი მშვიდის აბრაამისა, რომელიც საომრად წავიდა, რათა თვისი ძმის წული ლოთი გაეთავისუფლებინა. ღმერთმა უბრძანა ისუ ნავესა, შეებრძოლე ებრაელების მტერსაო და სასწაულებრივი გამარჯვება მიანიჭა მას. ღმერთმანვე უბრძანა ებრაელთა ერსა, დაიპყარ აღთქმის ქვეყანა და შემუსრე უკეთურნი წარმართნი ერნიო. ღმერთმა აკურთხა საჭურველი პირველის ქრისტეანე მეფისა წმ. კონსტანტინესი და ნუგეში სცა ჯვრის ხილვითა, რომელიც არის საჭურველი ძლევისა. ჩვენნი წინაპარნიც საქართველოში და რუსეთშიც, ჩვენი მეფეები, ჩვენი დიდებული მხედარნი, გამსჭვალულნი სარწმუნოებით და ვაჟკაცობით, სიხარულით მიდიოდნენ სასიკვდილოდ ომში და არ ერიდებოდნენ გაჭირვებასა და ვნება-წვალებასა. იპყრობდნენ სამეფოებსა, იცავდნენ წმიდა სარწმუნოებასა, თავს სდებდნენ წმიდა ეკლესიისათვის, ღვთისა, ძმათა და მამულისათვის. მაშასადამე, მხედარი მსახურია ღვთისა, აღმასრულებელი ქრისტეს დიდის მცნებისა:* ***არ არის ამაზე უდიდესი სიყვარული, გარდა იმისა, ვინც სულსა თვისსა დასდებს თავის მეგობართათვის*** *(იოანე XV, 13).*

*უფალმა იესო ქრისტემ იწინასწარმეტყველა, ბოლოს ჟამს იქნება ომები, გაიგონებთ ბრძოლის ამბებსა, ყოველს ქვეყანაზე იქადაგებენ სახარებასა (ღვთის სიტყვასა). მაშინ საშინელი და მძიმე ომები გაჩნდება, ბევრი მწუხარება დაადგება ხალხსა, მაგრამ ვინც დაითმენს სრულიად, იგი ცხოვნდება (მათ. XXIV, 6-14).*

*სრულდება ეხლა ღვთის წინასწარმეტყველება - შორეულ აღმოსავლეთში ომი აქვს რუსეთს წარმართ იაპონიასთან, ომი მძიმე და სამწუხარო. უნდა ღვთის ნებას დავემორჩილნეთ და გავუძლოთ ომის სიძნელეს; არ უნდა დავზოგოთ არც ღონე, არც საშუალება, არც სიცოცხლე, რომ ვსძლიოთ მტერსა და არ შევარცხვინოთ ჯვარი უფლისა. ასე სჯიდნენ ხოლმე ჩვენნი წინაპარნი, როდესაც იხოცებოდნენ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის და ჩვენც გვიანდერძეს, ასე მოვიქცეთ.* ***ვინც ბოლომდე მოითმენს, ცხოვნდება.***

*მაგრამ ღვთიურს წინასწარმეტყველებაში მომავალ ომების შესახებ უფალმა დასძინა:* ***მაშინ მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი აღსდგებიან და ბევრს შეაცდენენ*** *(მათე, XXIV, 11). ეხლა ჩვენს თვალწინ სრულდება ეს წინასწარმეტყველება. გაჩდნენ ჩვენშიაც ცრუ წინასწარმეტყველნი და შეაშფოთეს სალდათები და სათადარიგო მეომარნი სხვა და სხვა უკეთურის და ცრუ სიტყვებითა. გაჩდნენ აქაც, ჩვენს მხარეში, გაავრცელეს წერილები, ურჩევენ საომრად გამოსაწვევ მეომრებს, ომში ნუ წახვალთო და წინდაწინვე აშფოთებენ კეთილ ხალხსა. ისინი ისეთს „სიმართლეს სწერენ ომზე", რომელსაც დასწერდა მხოლოდ მამა სიცრუისა — ეშმაკი.*

*არწმუნებენ ხალხს ეს ცრუ მეტყველნი, რომ ომი დაიწყო მეფემ და მთავრობამო. მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რა ნაირი მშვიდობის მოყვარეა ჩვენი მეფე; იცის, რომ რუსეთს არ უნდოდა ომი და არც ემზადებოდა იმისთვის, ხოლო იაპონიამ პირველმა და მოტყუილებით დაიწყო ომი.*

*ცრუ მეტყველნი აჯერებენ ხალხსა, რომ რუსეთის ომში ყველა გამოცდილი აფიცრები დაიხოცნენ, დანიშნეს გამოუცდელნი და საქმის არა მცოდნენიო; რომ აკლიათ ექიმები და ომში შიმშილი ჩამოვარდაო. მაგრამ ეს მხოლოდ საზიზღარი ტყუილია. არც ერთის ომის დროს ასეთი მზრუნველობა არა ჰქონიათ სალდათებზე, როგორც აწინდელ ომში.*

*ცრუ მეტყველნი აშინებენ სალდათებსა, რომ მანჯურიაში ცხელა კიდეცა და ძრიელაც ცივა; რომ ომი იქაური აუტანელია; აუარებელი მთები და უფსკრულებია; რომ სალდათებს ყაზარმები არა აქვთ. მაგრამ განა ამისთანებით შეიძლება პატიოსანი სალდათების შეშინება? განა მართლა ომში უხიფათობა შეიძლება? განა ომში სამხიარულოდ მიდიან? განა ომის ალაგას ყაზარმებს არ აშენებენ? კიდევ იმითი აშინებენ, რომ სახლში ოჯახობა და ბავშვები უპატრონოდ დაგრჩებათო. განა ყოველის ომის დროს ასე არ არის ხოლმე? ამასთან, განა ეხლა სალდათების ოჯახისა და ბავშვებისათვის არ სწუხან და ზრუნავენ? მეფემაც და მთავრობამაც, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული, მტკიცედ გადასწყვიტეს, იზრუნონ იმათთვის უბედურობის დროს.*

*ცრუ მასწავლებელნი არიგებენ სალდათებს, აფიცრებს, ნუ დაემორჩილებითო... სად არის მაშ ღმერთი და სინიდისი? ფიცი ღვთისა და მეფისადმი? მხოლოდ ლაჩარი და სულმდაბალი კაცი გაუგონებს იმათ სიტყვებსა. როგორც მოძღვარს შეშვენის ლოცვა, სწავლულს — სწავლა, მიწად-მოქმედს — მუშაობა, ისე სალდათს — მორჩილება, უამისოდ სალდათი მოღალატეა და მტერი სამშობლოსი. თუ ყველა ომზე თავისებურად დაიწყობს მსჯელობას, ერთი დაემორჩილება, ხოლო მეორე — არა, მაშინ ეს ჯარი კი აღარ იქნება, არამედ მაწანწალათა კრებული.*

*ცრუ მასწავლებელნი არიგებენ, მოითხოვეთ საჩქაროდ ზავის ჩამოგდებაო, მაგრამ ზავი იქნება მაშინ, როცა ჩვენ დავძლევთ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხომ სირცხვილი იქნება სამშობლოსათვის და საშინელი ზარალი ჩვენთვის. მტერი წაიღებს ჩვენს მიწა-ადგილებსა, წაგვართმევს ვაჭრობასა, მუშაობა შეფერხდება ჩვენში, ჩამოვარდება სიღარიბე და უმუშაობა, სამშობლო ქვეყანა დასუსტება და მაშინ ყოველი მხრიდან დაეცემიან იმას მტრები. მინამ არ დავძლევთ, ზავის მოთხოვნა არ შეიძლება. ამას მხოლოდ ჩვენი მტერი იზამს, რომლისთვისაც ეს სარფაა და ჩვენი შინაური მოღალატენი იუდაგამცემელნი, რომელნიც მტერმა შეისყიდა. აი, ასეთები არიან ყველა ის ცრუ მოძღვარნი.*

*მეომარნო! გლეხნო! მუშა ხალხნო! ყველას, ვისაც ღმერთი და მეფე უბრძანებს ომში წასვლასა, მოგმართავთ ჩვენი სიტყვებითა: იყავით პატიოსანი მსახურნი მეფისა და მამულისა, წმინდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. თქვენი აღმაშფოთებელნი და ცრუ მოძღვარნი მიეცით მთავრობასა. ეგ შინაური მტრები გარეშე მტრებზე უარესნი არიან, იაპონელებზე უარესნი არიან. ეგენი მოღალატენი, გამცემელნი არიან, რომელნიც მხოლოდ ზიზღისა და სიკვდილის ღირსნი არიან.*

*დიდი საქმისათვის გიწოდებთ თქვენ ღმერთი: სძლიოთ მტერი — წარმართი, აღიდოთ ჯვარი უფლისა და დაიმსახუროთ საუკუნო დიდება და მადლობა სამშობლოში და საუკუნო ხსენება და მოწყალება ღვთის თვალში."*

**რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიმართვა მრევლისადმი დაგვიანებული აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, რუსეთში დაწყებული რევოლუციის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. დიდი სოციალური ამბოხი ძალას იკრებდა და როგორც დაპირისპირებულ კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს ეჩვენებოდათ, ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ძალის გამოყენებით, ერთი სოციალური ძალის მეორეზე გამარჯვება-გაბატონებით შეიძლებოდა. რუსეთის იმპერია მოსალოდნელი დიდი სისხლი-სღვრის წინაშე იდგა.**

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 465-468

# ოზურგეთში სახალხო დღესასწაული „ასკანობა“ აღინიშნა



**ალიონი** ტრადიციად ქცეული დღესასწაული „ასკანობა“ სოფელ ასკანაში სპორტული და კულტურული ღონისძიებებით დაიწყო. გაიმართა დოღი, შეჯიბრი მინი-ფეხბურთში, მკლავჭიდში, ფრენბურთში, ნარდსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ტრადიციულ დოღში პირველობა არავის დაუთმო ბახველმა რამაზ შავაძემ; მინი ფეხბურთის ფინალში ასკანლებმა დიდი ანგარიშით 9:1 დაამარცხეს მზიანის გუნდი; მკლავჭიდში ბექა ლიპარტელიანმა გაიმარჯვა; ფრენბურთში — მზიანელებმა იმარჯვეს; ნარდში —ანსამბლ „შემოქმედის“ წევრმა მამუკა ჩავლეიშვილმა; მაგიდის ჩოგბურთში —ასკანელმა ლუკა მესხიშვილმა.

ჩატარდა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების: „ასკანელი,“ „შვიდკაცა“ და „შემოქმედის“ კონცერტი. მოეწყო ზაურ ჩხეიძის წიგნის - „დილა მშვიდობისა ჩემო სოფელო“ პრეზენტაცია. სპორტულ შეჯიბრში გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები და სიგელები გადაეცათ.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზურგეთის მერის მოადგილე ნათია გოლიაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.



# ჩოხატაურელი ნანა მგალობლიშვილი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტია



**ალიონი.** 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები დასახელდნენ. მათ შორისაა ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი — **ნანა მგალობრიშვილი.**

ეროვნული ჯილდოს 5 ფინალისტი დასახელდა. მათგან ერთ-ერთი 5 ოქტომბერს – მასწავლებლის მსოფლიო დღეს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. მასვე, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორის – „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისგან 15 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი ბანკი დააჯილდოებს.

2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტები უკრაინის გლობალური ჯილდოს 2017-2021 წლების გამარჯვებულმა მასწავლებლებმა დაასახელეს.

# გვარი ცოცხალი ისტორია




ოზურგეთში, ჭანიეთის ულამაზეს ქაქუთის უბანში საჯაიების კომლი სახლობს მე-19-საუკუნის ბოლოდან. მას შემდეგ, რაც ჭაბუკი სილიბისტრო აქ დასახლდა. სილიბისტრო, როგორც ტიპური გურული, პოლიტიკაში ჩართული იყო და ქვეყნის უკეთეს დღეებთან ხედავდა საკუთარი ოჯახის წინსვლას დღემდე მათ ულამაზეს ეზოში მინიმუმ 20 ქორწილი გადახდილა პირველი კი სილიბისტროს და ათინო ქარცივაძის ქორწილი იყო.

საჯაიების სათავეს შეერთო სხვა გვარები, მათ შორის ჩხატარაშვილები, გობრონიძეები, სურგულაძეები, კვერღელიძეები, სირაძეები.

2022 წლის ფერიცვალებას, ქაქუთში საჯაიები შეიკრიბნენ. გვარის ისტორიის კვლევა და შეხვედრის ორგანიზება სოსო საჯაიას დედამ, ქალბატონმა ფოთოლა არობელიძემ ითავა:

**ფოთოლა არობელიძე:** „ *— გვარი ცოცხალი ისტორია, ქართველი კაცის სინდის-ნამუსის, ოჯახის სიმტკიცის და პატიოსნების, ადამიანებთან თავაწეული ურთიერთობის, მამულიშვილობის ფენომენს წარმოადგენს. ამ შეგნებით იზრდებოდა გვარი საჯაია, რომელიც უძველესი, ფეოდალური წარმოშობისაა. მე-11, მე-12 საუკუნეში საჯაიები არიან აზნაურები და ცხოვრობენ ჩხოროწყუსა და მთლიანად სამეგრელოში. 5 და 7 წლის ძმები – სილიბისტრო და სოლომონი – მამამ ბეჟანი (ბუჟუკი) საჯაიამ ჩამოიყვანა გურიაში და დასახლდა დაბა ლაითურში.*

*სილიბისტრო დაოჯახდა, შეირთო აჭარელი ათინო ქარცივაძე და დასახლდა ჭანიეთში, ქაქუთში. ათინო მოიტაცა, რის გამოც, ქალის ოჯახი გაწყრა და ქალიშვილს მზითევი არ მისცა. წყვილს ჰყავდა 6 შვილი, 16 შვილიშვილი. ახლა ჩვენთან ერთად არიან 7 მათგანი – სვეტლანა, ელეონორა, იამზე, სადიკო, ბუხუტი, ანზორი, რომანი. სილიბისტროს და ათინოს შვილიშვილები, შვილთაშვილები 2022 წლის 19 აგვისტოს არის 209 ადამიანი.“*

მათი ერთ-ერთი შთამომავალი გახლავთ **ავთანდილ სურგულაძე,** ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი:

*„ — ბევრი მოსაგონარი გვაქვს, წინა თაობებმაც შემოგვინახა ისტორიები, მათ შორის სილიბისტროს ერთი ფრაზა: „კაცმა ისე უნდა იცხოვროს, ცა ტყულა არ უნდა გაჭვარტლოსო“ – ჩვენც ვცდილობთ ტყულა არ ვიყოთ, რაღაც სასარგებლო გავაკეთოთ და მგონი ვახერხებთ კიდეც. სილიბისტრო აქტიური მენშევიკი იყო, მისმა ძმამ კი მშვენიერი ბიზნესი წამოიწყო ექადიაზე, ჰქონდა საავურე ქარხანა, რომელიც მუშაობდა 1924 წლამდე საბედნიეროდ, ძმებს რეპრესია არ შეხებია. მეტიც, ღრმა მოხუცებული სილიბისტრო რაიკომში გამო-ცხადა და პენსიის მომატება მოითხოვა, რომელიც 7 მანეთს შეადგენდა. რაიკომში მისი მენშევიკური ისტორიების მოსმენის შემდეგ, რაც დამსახურებებში ჩამოთვალა, მოხუცი სახლში გაისტუმრეს. თეთრი დათვები არ დაგვატოვინონ უკან, ამ ამბებს ნუღარ გაიხსენებთო, დაარიგეს.“*

სოლომონის ქარხნის აგური ინახება მისი შვილიშვილის – ზურაბის ოჯახში.

გვარის შეხვედრაზე უხვად იყო მონატრება, გაცნობა, ღიმილი და თბილი გული, რაც ყველაზე მეტად ამშვენებს ადამიანის ყოფას და რაც ქართველების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშაა – სიყვარულის გაზიარება და წინაპრების ხსოვნა.

**ლია კილაძე**

# ეროვნული გამოცდების შედეგად ოზურგეთს 360 სტუდენტი ჰყავს

წელს,ეროვნული გამოცდების შედეგად ოზურგეთს 360 სტუდენტი ჰყავს, აქედან 49 სტუდენტმა საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა; აქედან 7- 100%; 10–70%; 32–50%.

100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღეს:

**საბა მახარაძე** – ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა;
**მარიამ გიორგაძე** –ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა;
**ანი ღელეყვა** – ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა;
**ანა ურუშაძე** – ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა;
**გიორგი ბეჟუაშვილი** – ბოხვაურის საჯარო სკოლა;
**გიორგი ჩხატარაშვილი** – შემოქმედის საჯარო სკოლა;
**გაზდელიანი ლუკა** – დაბა ლაითურის საჯარო სკოლა.

ვულოცავთ სტუდენტებს, მათ პედაგოგებს, მშობლებს ამ წარმატებას!

# რეგიონული სპორტის ჩემპიონატი ლანჩხუთში



რეგიონული სპორტის ჩემპიონატი ლანჩხუთში ამჯერად ფეხბურთში გაიმართა. ტურნირში 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

ფინალში „გურია“ და „ნიგოითი“ გავიდნენ. გადამწყვეტი ბრძოლა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, თუმცა საბოლოო გამარჯვება ‚გურიას" ხვდა წილად.

გამარჯვებული გუნდი „გურია“ 500 ლარით დაჯილდოვდა.

ჩემპიონატი, „ახალგაზრდული გაერთიანების“ ინიციატივით, ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის'' ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 9 სექტემბერი<br>პარასკევი | 10 სექტემბერი<br>შაბათი | 11 სექტემბერი<br>კვირა | 12 სექტემბერი<br>ორშაბათი | 13 სექტემბერი<br>სამშაბათი | 14 სექტემბერი<br>ოთხშაბათი | 15 სექტემბერი<br>ხუთშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე | მზე | მზე | მზე | წვიმა | წვიმა | წვიმა |
| +11+24 | +14+25 | +15+29 | +14+28 | +13+21 | +13+21 | +13+20 |